




# ადრეული/ ბავშვობის ასაკში ქორწინება






**ბ**უკლეტში მოცემული ინფორმაცია პასუხს სცემს კითხვებს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ:

ვინ ითვლება ბავშვად? რა არის ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება? რა სამართლებრივი რეგულაციები არსებობს ამ საკითხის ირგვლივ? ბუკლეტში ასევე საუბარია ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინების გამომწვევ მიზეზებსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

ბუკლეტის მიზანია მოზარდებსა და მათ მშობლებს მიაწოდოს ძირითადი ინფორმაცია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ.



## ვინ ითვლება ბავშვად?

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი ითვლება ბავშვად, ანუ არასრულწლოვნად, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სრულწლოვანების ასაკად მიჩნეულია 18 წელი.

## რა არის ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება?

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ორი ადამიანის ოფიციალური (რეგისტრირებული) ან არაოფიციალური კავშირია, რომელთაგან ერთ-ერთს მაინც ჯერ არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის, ანუ ბავშვია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-1 მუხლის შესაბამისად, ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან.

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება შეიძლება იყოს იძულებითი (მაგალითად, გარიგებით) ან არასრულწლოვნის (ბავშვის) გაუაზრებელი თანხმობით. ნებისმიერ შემთხვევაში, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება მიიჩნევა, ზოგადად, ადამიანის უფლებებისა და, კერძოდ, ბავშვთა უფლებების დარღვევად, რადგან ითვლება, რომ ბავშვს, ასაკიდან გამომდინარე, არ შესწევს უნარი, მისცეს გააზრებელი თანხმობა.

ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევაში არსასრულწლოვანი უმეტესწილად გოგონაა.

## ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების სამართლებრივი რეგულაცია

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების მძიმე შედეგების აღმოსაფხვრელად, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, 18 წლამდე ქორწინება აკრძალულია გამონაკლისის დაშვების გარეშე. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ასევე ისჯება სრულწლოვანი ადამიანის მიერ 16 წლამდე ბავშვთან სქესობრივი კავშირის დამყარება



საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის მიხედვით, სრულწლოვანი ადამიანის მიერ 16 წლამდე ბავშვთან სქესობრივი კავშირის დამყარება ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ან აღკვეთით ერთიდან სამ წლამდე.<sup>1</sup>

ხშირია შემთხვევა, როცა ადრეულ ქორწინებას ხელს უწყობენ მშობლები, ზემოქმედებას ახდენენ შვილებზე, ან მონაწილეობენ ოჯახში ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობაში.



ქორწინების იძულება (მათ შორის, არარეგისტრირებულის) ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ხოლო იგივე ქმედება, გააზრებულად ჩადენილი არასრულწლოვანის მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან-ოთხ წლამდე.

ძალდობის ერთ-ერთი ფორმაა გოგონას მოტაცება მასზე დაქორწინების მიზნით. გოგონას მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით ითვლება პირის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთად.



საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მიხედვით თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა დანაშაულისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვანის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით შვიდიდან ათ წლამდე. საერთო ჯამში, სხვადასხვა პირის მიმართ ჩადენილი ამ დანაშაულისათვის პირს შეიძლება 2-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეეფარდოს.

საქართველოს კანონმდებლობით, სასულიერო პირის მიერ ჩატარებულ ქორწინების რიტუალს იურიდიული ძალა არ აქვს.

## ადგილობრივი კონტექსტი

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში იშვიათი არ არის. არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში მცხოვრები 20-24 წლის დაქორწინებული ქალების 14%-მა 18 წლის შესრულებამდე შექმნა ოჯახი. მონაცემები ვერ იქნება სრული, რადგან ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ხშირად არ არის ოფიციალურად დარეგისტრირებული.

ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას ადგილი აქვს როგორც ქალაქად, ისევე სოფლად, თუმცა ამ პრაქტიკის მახასიათებლები და მისი გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაა.

1. ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია, ნაწილი I, მუხლი 1.

# ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინების გამომწვევი მიზეზები

ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინება სხვა ფაქტორებთან ერთად, გენდერულ უთანასწორობას უკავშირდება. არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ ადრეული ქორწინების პრაქტიკა და გარემოებები საკმაოდ განსხვავდება ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიისა და რეგიონების მიხედვით.

- ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გოგონების მიერ სკოლის მიტოვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ქორწინების შედეგად, გოგონები იძულებულნი არიან სწავლის პროცესი ან შეკვეცილი ფორმით გააგრძელონ, ან სულაც შეწყვიტონ. უმაღლესი განათლების მიღების შანსი, ამ შემთხვევაში, სულ უფრო მცირდება, ბავშვის გაჩენის შემდეგ კი პრაქტიკულად ქრება.
- ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ასევე დაკავშირებულია სიღარიბესთან და დაბალ სოციალურ სტატუსთან. იმ ოჯახებისთვის, რომლებიც მატერიალური სიდუხჭირის ბღვარზე არიან, გოგონას ადრეული ქორწინება მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან ერთგვარი გამოსავალიც არის, ასეთ შემთხვევაში ისინი გოგონას ქორწინებას განიხილავენ როგორც მისი „პატრონისთვის ჩაბარებას“ და მათი ოჯახიდან „ტვირთის მოხსნას.“ რიგ რეგიონებში სოციალური ფონიდან გამომდინარე ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გოგონების არჩევანია, რადგან მათ განვითარების სხვა პერსპექტივა არ გააჩნიათ.

*„ცოლქმრული ცხოვრება დიდი პასუხისმგებლობაა, მართლაც „უღელია“ და ძალიან რთულია მისი ზიდვა. მაშინ ამას მე ვერ ვხვდებოდი. საერთოდ ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა ჩემს თავს... თანაც ის ფაქტორი იყო, რომ ოჯახშიც ასეთი [დაძაბული] სიტუაცია მქონდა; აი, ახლა მაინც, ამასთანაც ვაკავშირებ. ალბათ, ისიც იყო, რომ გავეწყვი ამ პრობლემას. იმდენად ჩავიკვეთე ამ ჩემს ახალ ოჯახში, გარეთ გამოსვლაც აღარ მინდოდა.“  
(ადრეულ ქორწინებაში მყოფი ქალი)*

- ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გამომწვევი მიზეზთა შორისაა ასევე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების არასათანადო ინტეგრაცია ფართო საზოგადოებაში. ამ ჯგუფების წარმომადგენელი ბევრი გოგონა ქართულ ენას სათანადოდ არ ფლობს, რაც უფრო აღრმავებს მათ იზოლაციას. ხშირად გოგონები ადრეულ ქორწინებაში ხედავენ ერთადერთ არჩევანსა და მათთვის “გარდაუვალ ბედს”.

- ტრადიციული ნორმების ძლიერი გავლენა და ქორწინებამდე სქესობრივი თავშეკავება ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოში. შესაბამისად, ტრადიციები არ უტოვებენ შეყვარებულ წყვილს სქესობრივი ურთიერთობის დამყარების სხვა ალტერნატივას, გარდა ქორწინებისა, რითაც უბიძგებენ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისაკენ.
- ერთ-ერთი ფაქტორი ასევე შეიძლება იყოს ინფორმაციის ნაკლებობა სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, რაც ზრდის მოზარდობის ასაკში არასასურველი ორსულობის ალბათობას. ეს კი, თავის მხრივ, ერთ-ერთი მიზეზია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა.

## რა პრობლემებთან არის დაკავშირებული ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინება?

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება განსხვავებულ გავლენას ახდენს ბიჭებსა და გოგონებზე. თუმცა, ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას გოგონებისთვის გაცილებით უფრო მძიმე შედეგები მოაქვს და უარყოფით გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობასა თუ შემდგომ განვითარებაზე. ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შედეგად გამოწვეულ პრობლემებს შორისაა:

- ჩავჯრა და ოჯახში ძალადობა:** ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებაში მყოფი მოზარდი გოგონები, როგორც წესი, ქმრის მშობლებთან ერთად ცხოვრობენ და ხშირად მათზეა დაკისრებული მათი ასაკისათვის შეუფერებლად მძიმე ტვირთი - როგორცაა ოჯახის წევრების (ოჯახის ავადმყოფი წევრის, ბავშვის, მოხუცის და ა.შ.) მოვლა, საჭმლის მომზადება, სახლის მოვლა (სახლის დალაგება, სარეცხის გარეცხვა და ა.შ.). ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებაში მყოფი გოგონები ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ზეწოლის გაზრდილი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. ოჯახში ძალადობის ძირითადი ტიპებია: ფიზიკური ძალადობა (ცემა, ჯანმრთელობის დაზიანება, ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს და ტანჯვას), ფსიქოლოგიური ძალადობა (შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება), ეკონომიკური ძალადობა, იძულება, სექსუალური ძალადობა.
- ორსულობა მოზარდობის ასაკში:** ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებაში მყოფი გოგონების გამოცდილება აჩვენებს, რომ ისინი არიან ერთგვარი ზეწოლის ქვეშ - გააჩინონ შვილი რაც შეიძლება მალე, რათა გაამართლონ საზოგადოების თუ ოჯახის მოლოდინები. მოზარდობის ასაკში ორსულობა საფრთხეს უქმნის გოგონების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, რადგან მათი ორგანიზმი ჯერ არ არის მზად



ორსულობისა და ბავშვის გაჩენისთვის და მაღალია ორსულობისა და მშობიარობის გართულებების რისკი. მოზარდ გოგონებში, ორგანიზმის უმწიფრობის გამო, ხშირია ნაადრევი მშობიარობა, სამშობიარო ტრავმა და ინფიცირება, რაც შემდგომში მათი ავადობის და უნარშეზღუდულობის მიზეზი შეიძლება გახდეს. ორსულ მოზარდებს შორის უფრო მეტად არის გავრცელებული ანემია, რაც რკინის მზარდი მოთხოვნილების შედეგია. მოზარდობის ასაკში ორსულობასთან და მშობიარობასთან ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს ისეთი გართულებები, როგორცაა ჩვილ ბავშვთა სიკვდილობა/მკვდრადშობადობა, ახალშობილის დაბალი წონა, ა.შ.

15-19 წლის მოზარდ გოგონათა შორის მშობიარობის გართულებების გამო გარდაცვალების ალბათობა ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე 20-24 წლის ასაკის ქალების შემთხვევაში, უფრო ადრეულ ასაკში ორსულობის შემთხვევაში ეს რისკი კიდევ უფრო იზრდება; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით (2017 წ.) გლობალურად, ორსულობის გართულებები 15-19 წლის გოგონათა სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია.

მოზარდ ასაკში ორსულობა და დედობა განსაკუთრებით რთულია, რადგან ამ ასაკის გოგონებს უჭირთ ბავშვისა და საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

#### ❖ ბარიერები განათლების მიღებისთვის:

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გოგონების მიერ სკოლის მიტოვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ქორწინების ან ნიშნობის შემდეგ, გოგონები ხშირად წყვეტენ სკოლაში სიარულს, რადგან მათ, როგორც წესი, საოჯახო საქმეების ტვირთი აწევბათ. საქართველოში 18 წლის ასაკამდე დაქორწინებულ ქალთა უმეტესობა ვერ ახერხებს საშუალო ან უმაღლესი განათლების მიღებას. არასრულფასოვანი განათლება აფერხებს გოგონების განვითარებას, არ უტოვებს მათ ფართო არჩევანს და ართმევს მათ ცხოვრებისთვის საჭირო სახსრების მოპოვების შესაძლებლობას.

“გოგო რომ დაიბადება ოჯახში, სულ უმეორებენ: შენ უნდა გათხოვდე, ისწავლე საჭმლის კეთება, დაგვა, ჭურჭლის რეცხვა; და არავინ ეუბნება, რომ დანეროს ან წიგნი წაიკითხოს.”  
(ადრეულ ქორწინებაში მყოფი ქალი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი)

“მე ვიყავი 16 წლის, როცა გავთხოვდი. მე თანახმა არ ვიყავი, მაგრამ მშობლებს უნდოდათ. არც მიყვარდა და არანაირი გრძნობაც არ მქონდა, არც ქორწინებაზე ვფიქრობდი. ასე მეგონა, რომ დავქორწინდები და მორჩა, ეს არის ჩემი სიცოცხლის ბოლო. მე მინდოდა სწავლა. ვერ ვისწავლე მშობლების დამსახურებით. ფიქრობდნენ, რომ მე უნდა დავქორწინდე და არ არის საჭირო ჩემთვის სწავლა.”  
(ადრეულ ქორწინებაში მყოფი ქალი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი)



## დაურეგისტრირებელი კავშირები:

16 წლის ასაკს მიუღწეველი პირი ოფიციალურად ვერ შეძლებს ქორწინების დაურეგისტრირებას. აქედან გამომდინარე, დაურეგისტრირებელი ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გოგონებს სამართლებრივი რეგულაციების მიღმა და მთელი რიგი სოციალური გარანტიების გარეშე ტოვებს. მაგალითად, დაურეგისტრირებელი კავშირისას არ არის დაცული ქალის ქონებრივი უფლება და განქორწინების შემთხვევაში იგი ვერ მოითხოვს თანაცხოვრების განმავლობაში შეძენილ ქონების წილს.

## მთავარი გზავნილი

სრულწლოვან ასაკში ქორწინება ქალს თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალებას აძლევს, რაც ყველასთვის სასიკეთოა. ახალგაზრდა ქალი, რომელიც სრულწლოვან ასაკში ქორწინდება, დიდი ალბათობით, იღებს სრულფასოვან განათლებას, მუშაობს და შეაქვს ინვესტიცია ოჯახში. მეტად მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ ახალგაზრდას, თუ სრულწლოვან ასაკში ქორწინდება, მეტი ძალა შესწევს დამოუკიდებლად მიიღოს თავისი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, თავის მეუღლესთან ერთად აირჩიოს როდის და რამდენი შვილი იყოლიოს. გოგონების განვითარებაში ინვესტირება ყველასთვის სიკეთის მომტანია: ოჯახისთვის, საზოგადოებისათვის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თვითონ გოგონასთვის.

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გოგონების უფლებების დარღვევაა, ის მათ ართმევს ბავშვობას, ხელს უშლის სრულფასოვანი განათლების მიღებაში, საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას და ზღუდავს მათ შესაძლებლობებს. გოგონებისათვის მიყენებულ ზიანს ვერ გაამართლებს ადრეული ქორწინების ვერავითარი კულტურული, რელიგიური თუ ეკონომიკური მოტივი. გოგონას უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება და საშუალება, თვითონ გადაწყვიტოს, თუ როდის და ვისზე დაქორწინდება. მშობლებმა, საკუთარი შვილების კეთილდღეობისთვის, მხარი უნდა დაუჭირონ და პატივი სცენ გოგონას არჩევანს და გადაწყვეტილებას.

ძვირფასო მშობლებო! საკუთარი შვილების კეთილდღეობისთვის, ააცილეთ მათ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება და შეუწყვეთ ხელი შვილების განათლებასა და განვითარებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია.
- ბავშვთა ქორწინება დასავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში: რეგიონალური მიმოხილვა. UNFPA.
- საზოგადოებრივი დამოკიდებულებების კვლევა გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, UNDP Georgia: თბილისი.
- ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2010: საბოლოო ანგარიში, თბილისი: UNFPA, UNICEF, USAID, CDC, NCDC, MoLHSA.



Photo: © UNFPA/Rand Jarallah

## სად შეიძლება დახმარების მიღება

- ◆ **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:** ტელ. 112  
შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია გამოავლინოს და აღკვეთოს ოჯახში და ქალის და გოგონას მიმართ ძალადობის ფაქტები, დაიცვას ძალადობის მსხვერპლი.
- ◆ **ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სავონსულტაციო ცხელი ხაზი:**  
(032)2309903
- ◆ **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი:** (032) 2913814/15
- ◆ **სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზი:** 1505





## Enhancing Gender Equality in Georgia



გამოცემა მომზადდა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

ამ პუბლიკაციაში გამოქვეყნებული მოსაზრებები და შეხედულებები არ წარმოადგენს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და შვედეთის მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

დამატებითი ინფორმაცია ამ გამოცემის შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისში:

საქართველო, თბილისი, 0179, ერისთავის ქ. 9

ტელეფონი: (995 32) 225 11 26 (152)

ფაქსი: (995 32) 225 02 71/72



<http://georgia.unfpa.org>



[facebook.com/unfpageorgia](https://www.facebook.com/unfpageorgia)



[twitter.com/UNFPAGeorgia](https://twitter.com/UNFPAGeorgia)